დ ა ს კ ვ ნ ა

დადგენილების პროექტის თაობაზე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის N 60 დადგენილებაში ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ'' ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე - დადგენილების პროექტის სამართლებრივი საფუძველია ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი. აღნიშნული ნორმის შესაბამისად ნორმატიულ აქტში ცვლილებისა განხორციელება ხდება მხოლოდ იმავე ნორმატიული აქტით. პროექტი შესაბამისობაშია ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის I ნაწილის დ.ა. ქვეპუნქტთან - საკრებულოს უფლებამოსილებაა თვითმმართველი ერთეულის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებისა და დამატების შეტანა. პროექტი ასევე შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ივლისის N1504 და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 სექტემბრის N 1881 განკარგულებებს.

ასევე დადგენილების სამართლებრივი საფუძველია ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“მე-80 მუხლის მე-2 პუნქტი.

ადმინისტრაციული სამსახურის
იურიდიული განყოფილების
წამყვანი სპეციალისტი: *ნინო ვაჩეიშვილი*